

„მოდით შევხვდეთ“ (ბრიუსელში!): პროექტის პარტნიორები შეიკრიბნენ პირველი საერთაშორისო შეხვედრისთვის

„გაერთიანება მრავალფეროვნებაში“ არა მხოლოდ ევროკავშირის დევიზია, არამედ ფუნდამენტური იდეა, რომელსაც ეფუძნება პროექტი „მოდი შევხვდეთ“ (LET'S MEET). პროექტი მიზნად ისახავს გეოგრაფიული საზღვრების წაშლას ახალი მედიის გამოყენებით, როგორცაა პოდკასტი, ევროპული კულტურის ყველაზე გამორჩეული ფიგურების ბიოგრაფიები, რათა ხაზი გაუსვას და მოიცვას ევროპის ისტორიაში ფესვგადგმული კულტურული მრავალფეროვნება.

ამ პროექტის მთავარი იდეა არის ცოდნის გავრცელება ევროპული მულტიკულტურული პიროვნებების შესახებ, რომლებმაც კულტურული მრავალფეროვნება აქციეს ყველაზე მძლავრ იარაღად, იდეებისა და მხატვრული მოტივების ევროპაში გასავრცელებლად, რაც ხელს უწყობს ევროპის კულტურული საზოგადოებისა და სამოქალაქო იდენტობის მშენებლობას.

„გაერთიანება მრავალფეროვნებაში“ არა მხოლოდ ევროკავშირის დევიზია, არამედ ფუნდამენტური იდეა, რომელსაც ეფუძნება პროექტი „ მოდი შევხვდეთ“

პროექტის დასასრულს, პარტნიორებმა გადაწყვიტეს დასწრებოდნენ თავიანთ პირველ საერთაშორისო პირისპირ შეხვედრას 7 და 8 ივნისს ბრიუსელში.

ამ ორდღიანი ღონისძიების განმავლობაში პარტნიორებმა განიხილეს პროექტის მიღწევები და დასახეს მისი სამომავლო მიმართულებები, გაცვალეს იდეები და აზრები. გარდა ამისა, მათ საშუალება ჰქონდათ უკეთ გაცნობოდნენ იმ პიროვნებებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ბრიუსელის ჩამოაყალიბების პროცესში, გაესეირნათ ქალაქის ქუჩებში, რომელიც მულტიკულტურულობის არსს წარმოადგენს.

სიახლეები ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებიდან